

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების სტანდარტების იმპლიმენტაციის შესაძლებლობა საქართველოში

დალი სოლოლაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი.

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.52.09>

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, მდგრადობის ანგარიშების სტანდარტები, მდგრადობის ანგარიშების დირექტივა, მმართველობის ანგარიშება, ინფორმაციის გამჭვირვალობა

გაეროს მიერ მიღებულმა დოკუმენტმა (15.09.2015) სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, რომელიც მოიცავს 17 მიზანს და „ორიენტირებულია მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა“[1], უპრეცედენტო შეთანხმებაა მდგრადი განვითარების შესახებ 193 წევრ ქვეყანას შორის. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, თითოეულმა ქვეყანამ, 2030 წლამდე, რეფორმები უნდა გაატაროს მდგრადი განვითარების 17 მიზნის შესასრულებლად.

აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, ევროკომისიის მიერ შემუშავებული იქნა ახალი მარეგულირებელი ჩარჩო „კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივა“ (CSRD), რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 5 იანვრიდან ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. აღნიშნულმა დირექტივამ აქამდე არსებული არაფინანსური ანგარიშების დირექტივა ჩაანაცვლა - განახლებული რედაქციითა და მოთხოვნებით. კერძოდ: „მოითხოვს მსხვილ კომპანიებს და ჩამოთვლილ მცირე და საშუალო კომპანიებს (SMEs), ისევე როგორც მსხვილი ჯგუფების დედა კომპანიებს, შეიტანონ თავიანთი მენეჯმენტის ანგარიშის სპეციალურ განყოფილებაში ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია კომპანიის

ზემოქმედების გასაგებად მდგრადობის საკითხებზე და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებს მდგრადობის საკითხები კომპანიის განვითარებაზე, შესრულებასა და პოზიციაზე“ [2].

მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ISSB) მიერ შემუშავებულ და გამოცემული იქნა კორპორაციული მდგრადობის გამჟღავნების ორი სტანდარტი:

- ფასს მ1 (IFRS S1)- კორპორაციული მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები;
- ფასს მ2 (IFRS S2) - კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია. ფასს მ1-ის მიზანია მოეთხოვოს კომპანიებს გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომელიც სასარგებლოა ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის საწარმოსთვის რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას. კერძოდ, კომპანიებს მოეთხოვებათ წარადგინონ ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს გაიგონ:

- მმართველობითი პროცესები, კონტროლი და პროცედურები, რომლებსაც კომპანია იყენებს მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მონიტორინგის, მართვისა და ზედამხედველობის მიზნით;
- კომპანიის სტრატეგია მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის;
- პროცესებს, რომლებსაც კომპანია იყენებს მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის, შესაფასებლად, პრიორიტეტიზაციისა და მონიტორინგისთვის; და
- კომპანიის საქმიანობა მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მათ შორის პროგრესი ნებისმიერი მიზნისკენ, რომელიც სუბიექტმა დააწესა ან უნდა დაიცვას კანონით ან რეგულაციებით.

ფასს მ2-ის მიზანია მოსთხოვოს კომპანიებს, გაამყდონ ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომელიც სასარგებლოა ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის საწარმოსთვის რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას.

ფასს მ2 - კლიმატთან დაკავშირებით გასამყდებელი ინფორმაცია - მოითხოვს ეკონომიკური სუბიექტისგან, გაამყდონ ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადებზე, მის ხელმისაწვდომობას ფინანსებზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში.

საწარმოებისთვის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მომზადება შესაბამისი სტანდარტის გამოყენებით, სავალდებულო გახდა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელსაც ადგილობრივ უწყებებს წარუდგენენ 2025 წლიდან.

ახალი მოთხოვნები შეეხო ევროკავშირის მასშტაბით არსებულ 50 000-მდე საწარმოს CSRD-ის თანახმად [3]. კომპანიებმა უნდა მოამზადონ კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგება, თუ ისინი:

1. წარმოადგენენ ევროკავშირის „დიდ“ საწარმოებს და სდპ-ებს (მათ შორის, ბანკებს, სადაზღვეო კომპანიებს, ანგარიშვალდებულ საწარმოებს, რომელთა ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია და ადგილობრივი უწყებების მიერ სდპ-ად განსაზღვრულ საწარმოებს);
2. არიან ევროკავშირის რეგულირებად ბაზარზე კოტირებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SMEs) (გარდა მიკროსაწარმოებისა); ან
3. არიან ევროკავშირის არაწევრი საწარმოები, თუმცა ევროკავშირის ფარგლებში ფლობენ ფილიალს ან შვილობილ კომპანიას.

არსებულმა გარემოებამ გარკვეული გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოში მმართველობითი ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის არსებული წესი, რომელც 2023 წლამდე არსებული ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით

შემუშავებული ჰქონდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. არსებული წესის თანახმად საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს (სდპ-ს), პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებს ევალებათ მმართველობის ანგარიშგების მომზადება და წარდგენა [4]. მმართველობის ანგარიშგება გარდა საქმიანობის მიმოხილვისა და კორპორაციული მართვის ანგარიშგებისა, მოიცავს არაფინანსურ ანგარიშგებასაც.

გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ საქართველოში დღეისათვის ფუნქციონირებს საზოგადოებრივი დაინტერესების პირები აუდიტორული ფირმების (12), სადაზღვევო კომპანიების (18), ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანიების (18), კომერციული ბანკების (14), არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების (1), მიკროსაფინანსო ორგანიზაციების (34), საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე სამსახურის მიერ სდპ-ად განსაზღვრული პირისა (46) [5] და სხვათა სახით. მათ შორის არიან როგორც 1 ასევე მე-2 კატეგორიის კომპანიები, რომლებიც აქტიურად ფუნქციონირებენ ევროკავშირის ფარგლებში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაიგეგმა კომპანიების მხრიდან მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტის ვადამდელი დანერგვის ხელშეწყობა, რაც გაზრდის კომპანიების სანდოობას, გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს მათ მდგრად განვითარებას. დაგეგმილია აქვს ასევე ანგარიშვალდებულ პირთა წრის განსაზღვრა და სტანდარტის სამოქმედოდ შემოღების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება. რამდენადაც ზედამხედველობის სამსახური საქართველოს ევროპული პერსპექტივის ფარგლებში, აქტიურად მუშაობს ევროკავშირში არსებული დირექტივებსა და რეგულაციებთან დინამიური აპროქსიმაციის საკითხზე. ამ კუთხით, ერთ-ერთ მიმართულებას სწორედ მდგრადობის ანგარიშგების საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და ქვეყანაში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა წარმოადგენს.

გარდა საქართველოს საზედამხედველო უწყებებისა, აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართლები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, კერძოდ: საქართველოს ეროვნული ბანკი, ა(ა)იპ სამოქალაქო განვითარების სააგენტო/გლობალური შეთანხმების

საქართველოს ქსელი, ა(ა)იპ მდგრადი განვითარების ინსტიტუტი და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. მათ შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი (13.07.2022) ეხება მდგრადობის ანგარიშგების სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, კი მდგრადობის ანგარიშგების საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით თანამშრომლობას. აღნიშნული მემორანდუმის მიზნის მისაღწევად, მხარეები ქართულ ენაზე გადათარგმნიან დასამტკიცებლად გათვალისწინებულ შემდეგ დოკუმენტებს:

- კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების ახალი ევროდირექტივა;
- ფასს ფონდის (IFRS Foundation) მიერ შემუშავებული მდგრადობის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი;
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ შემუშავებული არაფინანსური ანგარიშგების აუდიტის სტანდარტი.

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად არის ჩართული და მხარს ჭერს ქვეყნის მდგრად განვითარებას. მან მდგრადი საფინანსო ჩარჩოს განვითარებაზე მუშაობა 2017 წლიდან, მდგრადი საბანკო ქსელში (SBN) გაწევრიანებით დაიწყო. მდგრადი დაფინანსება ორ მნიშვნელოვანი ნაწილისაკენ არის მიმართული. პირველი, ეს არის მდგრადი და ინკლუზიური ზრდის მიმართულებით ფინანსური პროექტების წარმართვა და მეორე, ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესება საინვეტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებით.

საქართველოს ევროპული პერსპექტივის გათვალისწინებით, „აღნიშნული სტანდარტების შემოღება მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ადგილობრივი საწარმოების საქმიანობის მდგრადი განვითარებისთვის“[6]. ამ სახელმძღვანელო პრინციპების ადრეულ ეტაპზე შემოღება ქვეყნისთვის წარმოადგენს შესაძლებლობას, გააუმჯობესოს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშგების წარმოების პრაქტიკა, წვლილი შეიტანოს უფრო მდგრადი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემოს შექმნაში, რაც საბოლოოდ მეტად მტკიცე და გამჭვირვალე, ევროპული ბიზნეს გარემოს შექმნას უზრუნველყოფს. ამ სტანდარტების ადრეულ ეტაპზე დანერგვა ევროკავშირთან

ინტეგრაციის საფუძველს შექმნის და საწარმოთა მდგრადი განვითარების უზრუნველყოფს, ასევე გააძლიერებს ინვესტორთა ნდობას და გააჩენს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს.

არსებული ინფორმაციის თანახმად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მაძიებელი ქვეყანა, აქტიურადაა ჩართული იმ გლობალურ და მათ შორის ევროპის კონტინენტის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, რაც დაადებითდ წაადგება როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოსა და მათ შორის ევროპას.

რეზიუმე

ეკონომიკური მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციები გლობალური ხასიათისაა. ეკონომიკური მდგრადობა მოიცავს კორპორაციულ მდგრადობას, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნესის სტრატეგიის განხორციელების გზით შექმნას ეთიკურ, სოციალურ, გარემოს დაცვით, კულტურულ და ეკონომიკურ განზომილებებზე ფოკუსირებული გრძელვადიანი ღირებულება. ევროკავშირის მიერ შემუშავებულია კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD), რომელიც მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციებთანაა დაკავშირებული. საქართველოს ინტერესი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, დღის წესრიგში აყენებს აღნიშნული დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებას შესაბამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებში. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს ჩართულობის ზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში. ასოცირების შეთანხმების თანახმად, მხარეები თავიანთ ურთიერთობებს ააგებენ და გააძლიერებენ, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. ამდენად, ჩვენი ქვეყნის გამოწვევები კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების იმპლიმენტაციის შესაძლებლობის შესახებ აქტუალური ხასიათისაა.

The possibility of implementing corporate sustainability reporting standards in Georgia

Solghashvili Dali

Professor of Akaki Tsereteli State University

Doctor of Economics

Summary

Modern trends of sustainable economic development are global in nature. Economic sustainability includes corporate sustainability, which aims to create long-term value through the implementation of business strategy, focusing on ethical, social, environmental, cultural and economic dimensions. The European Union has developed the Corporate Sustainability Reporting Directive (CSRD), which is related to modern trends in sustainable development. Georgia's interest in joining the European Union puts on the agenda the consideration of the requirements of the mentioned directive in the relevant legislative and regulatory documents. The Association Agreement with the European Union envisages the increase of Georgia's involvement in the strategies, programs and organizations of the European Union. According to the Association Agreement, the parties will build and strengthen their relations, taking into account the long-term goals of sustainable development and green economy. Thus, the challenges of our country regarding the possibility of introducing corporate sustainability reporting standards are relevant.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development;
2. **COMMISSION DELEGATED REGULATION (EU) /... supplementing Directive 2013/34/EU of the European Parliament and of the Council as regards sustainability reporting standards . C/2023/5303 final**
3. EU Corporate Sustainability Reporting Directive
4. საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. მუხლი 7.2; 2016წ .
5. Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision. See: <https://reportal.ge/>
6. დალი სოლოღაშვილი, თეა უდესიანი, თათია უდესიანი. აღრიცხვა-ანგარიშგების გამოწვევები ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. თსუ. პაატა გუგუშვილის

ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 362
გვ. 2023 წ.